ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №5

22 დეკემბერი, 2025 წელი
14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ბექა ოდიშარია, არჩილ ნიჟარაძე, შალვა სუთიაშვილი, თინათინ ნიბლოშვილი, შოთა ქევხიშვილი, გურამ ნიკოლაშვილი, ნოდარ ბოკერია, ოთარ ჩრდილელი და გიორგი ქარდავა.

გაიმართა 11 კომისიის გაერთიანებული სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე, ხოლო კომისიას თავმჯდომარეობდა განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** "ქალაქ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (**№12-032534442-03; 10.12.2025)**

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, ნინო ვარდოსანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**

ნინო ვარდოსანიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს, გაიოზ თალაკვაძეს.

გაიოზ თალაკვაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 2 193 388,7 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 983 178,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 219 823,3 ათასი ლარით, ხოლო 2026 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (2 082 482,2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 110 906,5 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის" მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 1 დეკემბერს მიღებული წერილის (N04-03/84793) გათვალისწინებით, რომლის თანახმად გადასახადების

ჯამური მოცულობა იზრდება 5 138,6 ათასი ლარით (დამატებული ღირებულების გადასახადი), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით დამატებით გამოეყოფა 50 000,0 ათასი ლარი, პერსონალური ასისტენტის მომსახურებისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა 2 767,9 ათასი ლარით (საქართველოს უკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი (MOH 3 25 00941831), ხოლო სხვა შემოსავლების ნაწილში მისაღები შემოსავლები იზრდება - 53 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

გაზრდილი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება **შემდეგ პრიორიტეტებზე:**

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 696 339,7 ათასი ლარი;**
- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 305 931,3 ათასი ლარი;**
- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 314 760,6 ათასი ლარი;**
- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარი;**
- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 62 491,3 ათასი ლარი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 182 384,4 ათასი ლარი;**
- **განათლება - 303 331,6 ათასი ლარი;**
- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 50 558,8 ათასი ლარი;**
- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 13 196,7 ათასი ლარი;**
- **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 258 546,9 ათასი ლარი.**

განათლება დაიგეგმა - 303 331,6 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (261 539,9 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 41 791,7 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (300 602,4 ათასი ლარი) მიმართებაში 2 729,2 ათასი ლარით მეტია. იზრდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) ქვეპროგრამის ასიგნებები 3 600,0 ათასი ლარით (სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები (ფორსმაჟორის და ავტორიზაციის ხარჯები), თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები (კოდი 07 02 06) ქვეპროგრამის ასიგნებები 110,0 ათასი ლარით, იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 19,2 ათასი ლარით, ხოლო მცირდება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02 04) - ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 000,0 ლარით

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 50 558,8 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (39 294,0 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 11 264,8 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (50 558,8 ათასი ლარი) მიმართებაში უცვლელია. აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტის ფარგლებში შიდა გადანაწილების ხარჯზე იზრდება თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობის (კოდი 08 08 02) ქვეპროგრამის ასიგნება - 1 828,2 ათასი ლარით (მრავალწლიანი ხელშეკრულების შესაბამისად ვერის ჩოგბურთის კორტების და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის მიზნით), დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა (კოდი 08 06 09) ქვეპროგრამის ასიგნების შემცირების ხარჯზე.

განათლების სფეროს განვითარებისთვის საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- **„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა“** (კოდი 07 01 02) – 252,384.7 ათასი ლარი;
- **„ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“** (კოდი 07 02 01) – 142.2 ათასი ლარი;
- **„თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა“** (კოდი 07 02 05) - ;
- „**თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები“** (კოდი 07 02 06) – 110.0 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაძალადევის რაიონში** (კოდი 07 02 06 02) – 11.0 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დიდუბის რაიონში** (კოდი 07 02 06 03) - 11.0 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში** (კოდი 07 02 06 04) - 11.0 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვაკის რაიონში** (კოდი 07 02 06 05) - 11.0 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საბურთალოს რაიონში** (კოდი 07 02 06 06) - 11.0. ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ისნის რაიონში** (კოდი 07 02 06 07) - 11.0 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები სამგორის რაიონში** (კოდი 07 02 06 08) - 11.0 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები კრწანისის რაიონში** (კოდი 07 02 06 09) - 11.0 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთაწმინდის რაიონში** (კოდი 07 02 06 10) - 11.0 ათასი ლარი;
- **„მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა“** (კოდი 07 03 03) – 5,647.7 ათასი ლარი;

- **„პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“** (კოდი 07 04) – 2,500.0 ათასი ლარი;
- **„უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება“** (კოდი 07 05) – 4,211.0 ათასი ლარი;
- **„უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების** ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01) – 235.0 ათასი ლარი;
- **„იურიდიული კლინიკა“** (კოდი 07 05 02) - 976.0 ათასი ლარი;
- **„სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა”** (კოდი 07 05 03) – 3,000.0 ათასი ლარი;
- **„მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა“** (კოდი 07 06 01) – 4,266.2 ათასი ლარი.

კულტურის სფეროს განვითარებისთვის საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- **„თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“** (კოდი 08 01) –3,842.2 ათასი ლარი. მათ შორის, **„ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი"** (კოდი 08 01 01) – 940.8 ათასი ლარი, **„პანტომიმის სახელმწიფო თეატრი"** (08 01 02) – 710.1 ათასი ლარი, **„თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი"** (08 01 03) – 1,108.4 ათასი ლარი, **„სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი“** (08 01 05) – 635.9 ათასი ლარი, **„სამეფო უბნის თეატრი"** (08 01 08) – 447.0 ათასი ლარი;
- **„სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“** (კოდი 08 02) – 4,151.4 ათასი ლარი;
- **„ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია“** (კოდი 08 03) – 3,621.1 ათასი ლარი;
- **„ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა“** (კოდი 08 03 10) –223.3 ათასი ლარი;
- **„მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა“** (კოდი 08 03 12) – 3,397.8 ათასი ლარი;
- **„ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება“** (კოდი 08 04) –2,682.6 ათასი ლარი. მათ შორის, **საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“** (კოდი 08 04 01) – 1,004.3 ათასი ლარი; **„ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა“** (კოდი 08 04 03) – 628.3 ათასი ლარი.
- **„კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“** (კოდი 08 04 04) – 1,050.0 ათასი ლარი;
- **„კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“** (კოდი 08 05) – 3,000.0ათასი ლარი;
- **„შემოქმედებითი თბილისი“** (კოდი 08 09) – 1,250.0 ათასი ლარი;
- **„საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“** (კოდი 08 10) – 750.0 ათასი ლარი;
- **„თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი“** (კოდი 08 12) – 621.9 ათასი ლარი;
- **„ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“** (კოდი 08 13) –100.0 ათასი ლარი.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	8
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	1 (გიორგი ქარდავა)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ოდიშარია